ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-1561

"17" აგვისტო 2016 წ.

ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.890), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 4 აგვისტოს სხდომის №41 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.890), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,7.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ანგარიში:GE85LB0125152101629508. **5564.742857** ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

საგადახდო დავალება N1

რეფერენსი

4945829649

გადამხდელის დასახელება: შპს ამხანაგობა ჩვენი სახლი

ანგარიში (დებეტი) GE78BG0000000336512000
(ძველი ანგ.)

თანხა

5564-75

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი

BAGAGE22

თანხა სიტყვებით

ხუთი ათას ხუთას სამოცდაოთხი ლარი 75 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს ამხანაგობა ჩვენი სახლი

საიდენტ. კოდი 404991167

მიმღების დასახელება: ქ.თბილისის მერია

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) GE85LB0125152101629508

მიმღების ბანკი:
სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი

LBRTGE22

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 22.11.2016

მიღების თარიღი: 22.11.2016

ვადახდის დანიშნულება: სპეციალური ზონალური შეთანხმებისთვის მოსაკრებელი

დამატებითი ინფორმაცია:

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

ხელმოწერა

შტამპის ადგილი